№ 962 შაბათი, 13 ნოემბერი. 1896—1899 შაბათი, 13 ნოემბერი. №

კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 მდე „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზია

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან.,
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ღირება 1 მან. 50 კაპ.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი
ქეფირი და კუმისი
ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—96)
ო. კორონა.

ექიმი
გ. ს. გასცენფილდი
ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.
არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).
ავადმყოფთ ღებულობს ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს შ. ქ. მერაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

— ქართულმა წარმოდგენამ, გამართულმა გუშინ-წინ, სასიხარულოდ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. არდგენდნენ „ორ ობოლს“, რომელშიაც გამოვიდნენ ჩვენი სცენის დამამშვენებელნი მ. საფაროვ-აბაშიძისა და ნ. გაბუნია ცაგარლისა. ორთავე არტისტ ქალებმა საუცხოვოდ ჩაატარეს თავიანთი როლები და ხალხიც ალტაცებით მიეგება მათ.

— სახალხო წარმოდგენა. ხვალ, კვირას, ავჭალის სახალხო თეატრში გამართულ იქნება ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ ივ. მაჩაბლის გადმოკეთებულ პიესას: „ადვოკატ მელაძეს“.

— სახალხო სეირნობა-ბაზარი. ხვალ, კვირას, თამამშევის ქარვასლაში დანიშნულია სეირნობა და საქველ-მოქმედო ბაზარი, რომლის შემოსავალი მოხმარდება ბავშვთა მფარველ საზოგადოებას.

— სულის ავადმყოფთა ქსენონი, რომელიც ამ ცოტას ხანში გახსნა ქალაქმა სოლოლაკში ამილახვრის ქუჩა, როგორც ანგარიშიდამ სჩანს, უკვე მარჯვედ მოქმედებს.

— ახალი ბაღის გაშენება ქალაქში. ხმოსანს არსენი ბებუთოვს წინადადება შეუტანია საბჭოში, რომ არსენალის მთა-გორაკზე გაშენდეს ახალი ბაღიო.

— ქალაქის საყასბოს საბინძურე. ტფილისის პოლიციმეისტერს ბ-ნ კოვალიოვს ამ ერთის თვის წინად უთხოვნია ქალაქის მოურავისათვის—საყასბო ნავთლუღში ბინძურად ინახება და განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც საქონლის ნაწლავებს ასუფთავებენო და ამიტომ საჭიროა მათი განწესრიგებაო, მაგრამ დღემდე ქალაქის გამგეობა კრინტს არ იღებს ამ საგანზე და ამიტომ პოლიცმეისტერი სთხოვს ბ-ნ გუბერნატორს ნება დაგვრთე სრულებით დავშალოთ ხსენებული სიბინძურის ბუდეო!

— სამეურნეო გამოფენა ტფილისში. რადგან დღმდეგ წელიწადს სრულდება სწორედ ასი წელიწადი, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ამიტომ სამეურნეო საზოგადოებას თხოვნით მიუმართავს სათანადო სამინისტროში, რომ ამის გამო გამართულ იქნას სამეურნეო გამოფენაო, რაზედაც უკვე ხსენებულ საზოგადოებას ნება-რთვა მიუღია, ასე რომ დღეგ წელს ტფილისში გაიმართება დიდი სამეურნეო გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც მთელი საქართველო და კავკასია აგრეთვე ამიერკასპის მხარე და სამხრეთი გუბერნიები რუსეთისა; გამოფენას სამეურნეო ისტორიული და ხსენ... ხასიათიც ექნება.

— ბარონ დე ბაი მიემგზავრება დამდეგ კვირაში ტფილისიდან მოსკოვსა და პეტერბურგში; ცოტას ხანში ბარონ დებაიმ მოიარა სამეგრელო და იმერეთი.

— ქართველი მემუსიკე. გაზ. „ნოვ. ვრემ“-ის სიტყვით პატარა მემუსიკე, ვიოლენჩელის დამკვრელი, „მიშა“ ხუციშვილი, რომელიც ამას წინად გავაცანით მკითხველთ, 27 ოქტომბერს მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძისას ყოფილა მიწვეული და იქ თავისის ხელოვნურის დაკვრით ყველა დამსწრენი განუცვიფრებია.

— არჩევანები. ტფილისის გუბერნატორს ატყობინებენ, რომ ქ. დუშეთის მოურავის თანაშემწედ 7-ს ამ თვეს ამორჩეულ იქმნა ტერტეროვის მაგივრად ანდრია გაბრიელის ძე გრიგოლოვი.

— ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს გარდაეცა ქალაქის გამგეობისაგან საქმე, რომლითაც ქალაქის საბჭოს წევრს თავ. ნ. ზ. თუმანოვს ბრალდება ყალბი მოქმედება ქალაქის შენობების დამფასებელთა კომისიაში.

## სასამართლოს მატიანე

მამასახლისის საქმე. 9 ნოემბერს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია ზღუდერის საზოგადოების მამასახლისის აზნ. ვას. ხმიადაშვილის საქმე. სასამართლომ ვ. ხმიადაშვილი დამნაშავედ იცნო. მან მამასახლისის თანამდებობა-

ასრულების დროს მისდა მინიჭებულ უფლებას გადაამეტა იმითი, რომ 27 მაისს 1898 წ., შეიპყრო რა ტუსაღი ხუდიაშვილი, მთავრობას კი არ წარუდგინა იგი' არამედ თავდებით გაუშვა, და ამას გარდა ხსენებული ხუდიაშვილი, რომელიც გამომძიებლის განკარგულებით შეპყრობილ იქმნა, გაიქცა ვას. ხმიადაშვილისავე დაუდევრობის გამო, რომელსაც ხუდიაშვილი საპყრობილეში წარსადგენად გარდაეცა. ხმიადაშვილს სასამართლომ სამსახურიდგან დათხოვნა მიუსაჯა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

არწივისაგან ბავშვის მოტაცება უცნაურს ამბავს იუწყებიან ფრანგული გაზეთები. ამას წინად, ამ გაზეთების სიტყვით, ნიცცის მახლობლად სოფ. ალთიზში არწივს ერთი პატარა ბავშვი მოუტაცნია დედ-მამა ბავშვისა დილით მინდორში წასულან სამუშაოდ, ძუძუმწოვარი ბავშვი 12 წლის ქალის ანაბარა დაუტოვებიათ. ქალს ცოტა ხანი თავი მიუნებებია ბავშვისთვის და მეზობელთან წასულა რიღასიც სათხოვრად. სწორედ ამ დროს ზევიდგან დაშვებულა უზარმაზარი არწივი, ჩაუვლია ბავშვისთვის კლანჭები და გაუტაცნია. ბავშს, რასაკვირველია, წივილ-კივილი დაუწყვია, ამ წივილ-კივილზედ დედაკაცები გარედ გამოცვივნულან, მაგრამ რადას უშველიდნენ საწყალ ბავშს.

### საოჯახო ცნობა

—

სოდა შინაურობაში. სოდა ძლიერ გამოსადეგია ოჯახში; მაგალითად: თუ მურაბა მეტად სქელი გამოვიდა, საკმარისია ნახევარი ჩაის კოვზი სოდა მიუმატოთ ერთი ბოთლის ოდენა შუშას, რომ მურაბა სქელი არ იქნეს. თუ გინდათ, რომ კომბოსტო მალე მოიხარშოს, ოდნავ სოდა გაურიეთ, თუ გსურთ რომ ხილს მჟავე გემო წაერთვას, საკმარისია ოდნავ სოდა ჩაურიოთ ქვაბში; ყოველ გვარი მაგარი ხორცი სოდის მიკარებით მალე იხარშება და რბილდება. ერთის სიტყვით, რაც კი მოსახარშავია და გინდათ რომ მალე მოიხარშოს და იმავე დროს რბილიც იყვეს, უნდა ჩაუმატოთ სოდა. უკვასაც რომ მიუმატოთ ოდნავ სოდა უფრო მაგდება, აგრეთვე ჩაის რომ ჩაურიოთ, მაგარს და მუქს ხდის ხოლმე, თმას რომ მიუმატოთ კარგად გაალბობს, ზაფხულობით რომ რძეს ოდნავ სოდა მიუმატოთ არ აიჭრება. სოდა კარგია აგრეთვე მუცლის ტკივილის დროს, ბუყინის დროს და სხვა შემთხვევაშიაც.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო". ოდენკურში მუშებმა მუშაობა აღკვეთეს. 1000 მუშა ბელფორში მისულან და იქიდგან პარიზში აპირობენ წასვლას. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ზომები მიიღოს, რათა მუშებმა პარიზში შესვლა ვერ მოახერხონ. გზაზედ ცხენოსანი რაზმია დაყენებული, რომელსაც ნაბრძანები აქვს მუშები არ შეუშვას ქალაქში.

**ბელფორი.** 10 (22) ნოემბერი. „ჰავასის სააგენტო". მუშები უკანვე ოდენკურში დაბრუნდნენ.

**ქაირი.** 22 ნოემბერი. „ჰავასის სააგენტო". აფიცრები ამერიკის იმ სამხედრო გემებისა, რომელთაც სუეზის არხზედ გაიარეს, ამბობენ, ვშიშობთ, რომ შეერთებულ შტატებსა და იაპონიის შორის საქმის ვითარება არ გამწვავდესო.

**ორენჟ-რივერი.** 22 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო". ბურები შეუდგნენ ბელმონტის, კაფირსკოპის და ახლო მახლო გორაკების დაჭერას. მცირე რაზმი ულანებისა, რომელიც ადგილ-მდებარეობას ათვალიერებდა, წინ შეეხვა ბურებს, რომელთაც სროლა დაუწყეს. რაზმი უვნებლად უკანვე ორანჟ რივერში დაბრუნდა. როგორც ეტყობა, ბურებს ახალი ჯარი მოეშველათ. მათ ბელმონტში ზარბაზნები დადგეს.

**დურბანი.** 22 ნოემბერი „რეიტერის სააგენტო". გაზეთ „Natal News"-ს ატყობინებენ გრეიტაუნიდგან, რომ ბურებმა ჰოლანდიელი ფერსნერკი გელპმაკაზისა და ტუმზიტარის ოლქების მოსამართლედ დანიშნესო. ეს მოსამართლე ბურების კანონებით ადგენს სამართალს. გრეიტუნის ოლქის ნემცები შეკრებილ იქმნენ ბურების უფროსის მიერ. უფროსმა გამოუცხადა მათ, რომ ან ერთგულება შეჰფიცეთ ტრანსვაალს, ან შვიდის დღის განმავლობაში ფერმებს თავი მიანებეთო. ნემცებმა მოსაფიქრებლად დრო მოსთხოვეს; შემდეგ დაადგინეს ფიცზედ უარი განაცხადონ. მათ ბურებს თავიანთი პასტორი გაუგზავნეს, რომელმაც გამოუცხადა, რომ შეგვიძლიანთ დაგვხვრიტოთ, მაგრამ ჩვენს მიწა-ადგილს კი თავს არ გავანებებთო. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ კაპის რაზმში მოსამსახურეთა სახლები გამართულ იქმნაო. ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობა ჰოლანდიელთაც მიუღიათ.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა, საერო განათლებისა, სასჯულო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა და უწმ. სინოდის ობერ პროკურორმა დაადგინეს მოისპოს გაზეთის „Рускій Трудъ"-ს გამოცემა

**პარიჟი.** ჟუზენესი სასამართლო ანტისემიტმა ბრიუნემ განაცხადა, სარევოლიუციო. საშუალების ხმარებას ვურჩევდი მთავრობის დასამხობადაო.

**ლორენცო მარქეზე.** ბურებმა ყუმბარების ძაშენით უკუ აქციეს ის ინგლისელები, რომელნიც ლედი-სმიტიდგან გამოსვლას აპირებდნენ. ჰფიქრობენ, რომ უკუქცეულ ინგლისელთ განეზრახათ ესტკორტის ჯარს მიშველებოდნენ, რომელსაც მათთვის დახმარება ეთხოვათ. ამ თხოვნის გადამცემი შიკრიკი შეეპყროთ ბურებს და შემდეგ ისევ გაეშვათ, ქურერი იუწყება, ესტკორტის ჯარს პიტერმარიცბურგისაკენ გზა შევუკარითო.

**პრეტორია.** გენერ. სნიმანი იუწყება, ორშაბათს ცხარე ომი მოხდა მეფეკინგთანაო. ბურებს მოუკლეს ერთი კაცი ხოლო ინგლისელთა ზარალი არ ვიცითო.

როგორც ისმის, გოლანდიის ფერმერები ნატალში საყოველთაო აჯანყებას აპირებენ. კაპის ახალშენის ბურები იმ ოლქებში, რომლებიც რესპუბლიკის სამფლობელოდ იქმნა გამოცხადებული, უკვე ბურებს უერთდებიან.

**პიტერმარიცბურგი.** ლედისმიტის თავისუფალ ჯარის-კაცთა აფიცერი დეპეშით ატყობინებს მთავრობას, რომ ყველა თავისუფალი ჯარის-კაცები მშვიდობით არიან ზარბაზნების სროლა შესწყდა

**კაპშტადტი.** დღეს მოვიდა აქ ტრანსპორტის გემები 3,500 კაცით სხვა და სხვა იარაღებით სურსათით და 3,000 ჯორით.

**ლონდონი** აფრიკანდერთა წინამძღოლის გოფმეიერის თ ოს ნობით საზოგადო სამუშაოთა მინისტრი ზაუერი, ომის გათავების დასაჩქარებლად, ჩრდილოეთში გაემგზავრა იმ განზრახვით, რომ ალივალნორტში აფრიკანდერები აიძულოს ომში მონაწილეობა არ მიიღონ. იგი იმასაც ეცდება მოელაპარაკოს იქ ორანჟეს ბურთა წინამძღოლს გოფმანს და დაითანხმოს ბურები ზავის ჩამოგდებაზედ

**დურბანი** ბურებმა ტელეგრაფის მართული გადასჭრეს სადგ. გრეიგლარდთან. ახლა ბურები განბატონდნენ რკინის გზაზედ მოოირევერსა და ესტკორტს შუა. გუშინ საღამოდგან ესტკორტისაკენ გზა სრულიად შეკრულია.


## განცხადებანი

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკოლოზ თომას ძე
ერისთავი
ერთი თვით შეაჩერა თვის ბინაზე ავადმყოფების მიღება, რადგან დროებით მოსკოვში არის.
(5—4)

ახალი წიგნები
მოლიპულ გზაზე
მოთხრობა ანასტასია გ... ავი
ფასი ერთი მანეთი.
მწარე ფიქრები
ლექსები დუტუ მეგრელის, ფასი ერთი აბაზი.
ვინც ათზე მეტ ცალს დაიბარებს წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიიდან 20% დაეთმობა.
(10—6)

იყიდება
„ცნობის ფურცლის" რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | |
|---|---|
| იაკ. ღოღ. შაჰშაჰაშე | 2 „ |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 2 „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ოთხი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის" რედაქციას. 30—30)

გამოვიდა და იყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელი პოეტის ბერანჟეს თხზულება.
„ბერანჟე"
ქართულად
გ. გვაზავას თარგმანი.
ფასი 40 კაპ.
წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის ;გამოცემული შეიცავს 4 საუკეთესო ლექს დაის ავტორის სურათს.
ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც." ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Ноября 1899 г. (სტ. „ცნ. ფურ.") ? გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია